



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 154

2011 წლის 10 ნოემბერი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სველი წერტილებისა და გარე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოს გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 27 ოქტომბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110027382) და 2 ნოემბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110027961) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სველი წერტილებისა და გარე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოს შესყიდვაზე, რომელსაც 2011 წლის 1 ნოემბერს და 8 ნოემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სველი წერტილებისა და გარე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოს შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სველი წერტილებისა და გარე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოს გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

